პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 თებერვალი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 43 (14343)

ლენინურ შრომითს ვაჯტფეზე

სოფლის ახალგაზრდობა ერთვნელი თბილისში შეიკრიბა

მთელი რესპუბლიკიდან თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის შეკრების მონაწილენი. მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. 19 თებერვალს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც დაიყვნენ ჯგუფებად სპეციალობის მიხედვით, ეწვივნენ რესპუბლიკურ სამინისტროებს — სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკას", ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს.

ხელმძღვანელ მუშაკებთან საუბრების დროს მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის საკითხებზე, რომლებიც აინტერესებდათ მათ ილაპარაკეს პრობლემებზე, რომლებიც დღეს სოფლის ახალგაზრდობას აღელვებს.

დარბაზობანი საზეიმოდ მთავრდებოდა. სოფლის მოწინავე მშრომელებს გადასცემდნენ სიგელებსა და ფასიან საჩუქრებს.

საღამოს გაიმართა სოფლის ახალგაზრდობის მეგობრული შეხვედრა კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებით კოლექტივებთან.

ასე დამთავრდა სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ შეკრებაზე თავმოყრილი წარმომადგენლების პირველი დღე თბილისში.

შეკრება იხსნება დღეს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

აქ იქნებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები; 1.200-მდე ახალგაზრდა მევენახე, მეჩაიე, მეცხოველე, მექანიზატორი, პედაგოგი, ექიმი. მომსახურების სფეროში და სპორტში დასაქმებული მუშაკები, კომკავშირული მუშაკები.

ისინი განიხილავენ გასულ წელს თავიანთი საქმიანობის შედეგებს, განსაზღვრავენ მომავლის ამოცანებს. სოფლის ახალგაზრდობის, ისევე როგორც მათი ქალაქელი თანატოლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა დღეს ის არის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის იუბილეს.

(საქდესი).

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის შეკრება

სალამი შეკრების მონაწილეებს!



ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ერთ ჯგუფს. მარცხნიდან მარჯვნივ: —ნ. შეყილაძე — ზესტაფონის № 1 მუსიკალური სკოლის პედაგოგი, ე. კიკოლაშვილი — გარდაბნის რაიონის თელეთის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი, მ. ბუბაკა — ცაგერის ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი, რ. გიუშელიანი — სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, ლ. სკამკოჩაიშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიე, დ. კპაშილავა — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის კოლმეურნე, მ. ლიპარტელიანი — ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის ამბულატორიის გამგე, ნ. ხოჯავა — ოჩამჩირის რაიონის სოფელ პირველი ბედიის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სოფლის მექანიზატორი

ვიდიხართ სოფლად და თვალს გტაცებთ მინდვრები, ათვალიერებთ უზარმაზარ ფართობებზე გადაჭიმულ ჩაის პლანტაციებს, პურეულის ჯეჯილებს, ხეხილისა და ციტრუსების ბაღებს და უნებლიეთ ამბობთ, რა ძალა, რა ხელი ამუშავებს ამდენ მიწას!

საქმეც სწორედ ეს არის, ადამიანმა რა სახის იარაღ-მანქანები არ შექმნა იმისათვის, რომ ბუნებისაგან, მიწისაგან მიეღო იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია. დღეს მექანიზატორები თავიანთი საქმის დიდი ოსტატები არიან და პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად სასწაულს ახდენენ.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებით ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. შარშან, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, მეჩაიეებმა მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 216 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონისა. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო დავალებები.

ცხადია, რესპუბლიკის მშრომელთა ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მექანიზატორებს. რა ამაყად გაისმის შესანიშნავი სიტყვა — მექანიზატორი! იგი ხომ სამამულო ტექნიკის სული და გულია. ორი მექანიზატორი — სერგო აფხაზავა და ნაზიბროლა ხასაია სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობენ და ერთმანეთს შეიძლება არც იცნობდნენ. მაგრამ როგორ ჰგავს ერთმანეთისას მათი ბედი. სერგო აფხაზავა საუკეთესოდ დაეუფლა ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" მართვას და ერთი მანქანით ყოველ წელს 70-80 ტონაზე მეტ ჩაის ნედლეულს კრეფს. მან ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს მანქანით 5.200 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა და 260 მეჩაიის მოვალეობა შეასრულა. გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორმა ნაზიბროლა ხასაიამ შარშან 50 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფა. მათი მანქანები ისეა მოვლილი, რომ წლების მანძილზე არ ესაჭიროებათ კაპიტალური რემონტი.

ასეთი სახელოვანი მექანიზატორები ერთეულები როდია. ისინი მრავლად არიან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღების საქმეშიც.

მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი ფოთლის უხვი მოსავლის მიღებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. მარტო შარშან ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოთი" მოკრიფა 6.490 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი.

მაგრამ მიღწეული იმას როდი ნიშნავს, რომ შეუძლებელი იყოს მეტი წარმატებების მიღწევა. მაგალითად, 1966-1968 წლების მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს „საქართველოს" მარკის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების მუშაობისათვის უნდა მოემზადებინათ 7.520 ჰექტარი პლანტაცია. ფაქტიურად მომზადდა მხოლოდ 5.592 ჰექტარი. ამ მხრივ მეტი მუშაობა მოუხდებათ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ფუალეტუბოს, გეგეჭორის, ხობის, ჩოხატაურის, ფალენჯიხის, სამტრედიის, ცხაკაიასა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება — 1966-1970 წლებში ჩაის შოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს მექანიზატორებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ფართოდ გაიჩაღონ საყოველთაო-ხალხური შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად, — 1969 წელს მოკრიფონ 215 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 210 ათასი ტონისა, აქედან მანქანებით — 15 ათასი ტონა 1969 წელს და 20 ათასი ტონა — 1970 წელს, ამით სასახელოდ შეხვდნენ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

თათბირის მონაწილეთა მიმართვაში ნათქვამია: „ვიპირებთ რა ახალი ვალდებულებანი, ჩვენ, ჩაის მოგლა-მოვლვანის კომპლექსური მექანიზაციის სპეციალისტებმა გამართული რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, მეჩაიეობაში დასაქმებული ყველა მექანიზატორის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დავიშურებთ საბჭოური ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუჯობესებისათვის, ღირსეულ წვლილს შევიტანთ რესპუბლიკის მეჩაიეთა საპატიო ვალდებულების შესრულებაში — წელს სამოგლოს მივცეთ 215 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი".

ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის მშრომელები ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭერენ ხელს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის შემდგომი ფართოდ დანერგვისათვის ჯერ კიდევ ბევრი შუშაობაა საჭირო. უნდა ავამოქმედოთ დიდი რეზერვები, ვინაიდან მეჩაიეობაში მომავალი მანქანურ ტექნიკას ეყრთვნის. მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშაკებს კვლავ დიდი მუშაობა მოუხდებათ მანქანების კონსტრუქციის შემდგომი გაუმჯობესებისა და არსებული მანქანების სრულყოფისათვის.

ხუთწლედის მეოთხე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 9.660 ჰექტარზე უნდა მოკრიფონ ფოთოლი მანქანებით. ამასთან დაკავშირებით მანქანების შეუფერხებლად მუშაობისათვის უნდა მოამზადონ 4.068 ჰექტარი პლანტაცია. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი ახლოდგება. საჭიროა გეგმით გათვალისწინებული ფართობები სამექანიზაციოდ დროულად მოვამზადოთ. მაღალხარისხოვნად შეკაკეთოთ ჩაის საკრეფი მანქანები. ჩაის ბუჩქების გასხვლა ჩავატაროთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურად გულდასმით უნდა მუშაობდნენ ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საკითხებზე, განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მექანიზატორთა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

მანქანების წარმადობის ამაღლებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭიროა გვყავდეს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან ტექნიკის გამოყენების მოწინავე ხერხებს, იქნებიან თავიანთი საქმის ოსტატები. ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში ფართო გაქანება მიეცა მიწათმოქმედთა ტექნიკურ სწავლებას, მანქანების ტარება ისწავლა ბევრმა ადამიანმა, მათ შორის ქალებმა. მათ უნდა დავეხმაროთ, ვიზრუნოთ ამ ადამიანთა მატერიალური და მორალური წახალისებისათვის.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტს 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ გაიზარდა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება, დაწესდა დამატებითი ანაზღაურებანი მუშაობის ხარისხისა და სტაჟისათვის, შეღავათები ქალებისათვის, რომლებიც ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობენ. ეს ღონისძიებანი ზრდის სოფლის მშრომელთა დაინტერესებას იმით, რომ შეიძინონ მექანიზატორის პროფესია, აიმაღლონ კვალიფიკაცია. სოფლის მექანიზატორი მხოლოდ მანქანის მძღოლი როდია, ტექნიკის შესანიშნავ ცოდნასთან ერთად იგი მოვალეა ზედმეწევნით ფლობდეს აგრონომიულ ბერხებს, შეეძლოს თავისი მუშაობის ეკონომიური შედეგების ანალიზი.

ახლა, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ენერგიულად ემზადებიან გაზაფხულისათვის, საჭიროა მექანიზატორთა კადრების სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით ყველა საკითხი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში იყოს. ამყოფად ბევრ რაიონში მკაცრი ზამთარია, ზოგან კვლავ გადაადარა ძლიერმა ქარმა. ეს დამატებითს სიძნელეებს უქმნის მიწათმოქმედებს მუშაობაში. საჭიროა ადამიანთა უნარიანი განაწილება, რათა ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

ხუთწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობის ავანგარდში უნდა იყვნენ ჩვენი სახელოვანი მექანიზატორები.

სოფლის მექანიზატორები ყოველთვის იყვნენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, საკლმეურნეო წყობილების აყვავებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. დღე შრომითი მამაცობისა და ენთუზიაზმის ეს სახელოვანი ტრადიციები უფრო გამრავლდეს მექანიზატორთა ახალი პატრიოტული საქმეებით!

ნდობა—ყველაზე ღირსეულთ

თბილისი. ქალაქში დაიწყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებს 280-ე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი, მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.**

გურჯაანი. სახელმწიფო სანერგე მეურნეობის წარჩინებული ტრაქტორისტი **ნიკოლოზ იასონის-ძე სიბაშვილი** გურჯაანის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა 68-ე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

გურჯაანის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 56 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარებულია გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ნინო სტეფანეს ასული ელიზბარაშვილი.**

გაიმართა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების 78-ე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აქ რეგისტრაციაში გაატარეს ჯორდანანის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **აპოლონ გიორგის-ძე ჩალათაშვილი.**

85-ე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ გურჯაანის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სოფელ მელაანის კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე **ილია თეოდორეს-ძე დათუაშვილი.**

ქასპი. ქასპის რაიონული საბჭოს არჩევნების № 2 საარჩევნო ოლქში საოლქო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ცემენტის ქარხნის მოწინავე მუშა **ვახტანგ გიორგის-ძე კიტრიაშვილი.**

ქასპის რაიონული საბჭოს არჩევნების მე-6 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად საოლქო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ქასპის ელექტროაპარატის ქარხნის მუშა **მერი ზაქარიას ასული ნონიაშვილი.**

ქასპის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 15 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარებულია საარჩევნო ქარხნის მუშა **მედეა მიხეილის ასული გიგაური.**

სოფელ ქვემო ჯალის მოწინავე კოლმეურნე **გრიგოლ ელიოზის-ძე მუხიგულაშვილი** ქასპის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 19 საარჩევნო ოლქში.

ქასპის რაიონული საბჭოს არჩევნების № 25 საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ ღამისყანის სასოფლო ამბულატორიის გამგე **მარგარიტა პავლეს ასული კაკაბაძე-ღუდუშაური.** (საქდესი).

დაიწყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

დაიწყო საარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი. საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატობის პირველი კანდიდატები. ესენი არიან შრომის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოწინავე ადამიანები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები — კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატები, ისინი, ვისაც ხალხი პატივს სცემს, ავალებს სახელმწიფო საქმეებს.

ქარჩევნების შესახებ

ქუთაისი. (საკ. კორ.). „ყოველთვის ბევრი ხალხია ამომრჩეველთა № 2 კლუბში, რომელიც ავტომშენებელთა კულტურის სახლშია მოთავსებული. კლუბი შინაარსიანად არის გაფორმებული; აქ მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურისა და ჩვენი დღეების ამსახველი მასალების გამოფენები, გამოკრულია ლოზუნგები, პლაკატები. შემოღებულია პოლიტორგანიზატორთა და აქტივისტთა მორიგეობა. უკვე გამოვიდა კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმის" ორი ნომერი.

ამომრჩეველთა კლუბის (გამგე გ. მიმინოშვილი) გარშემო შემოკრებილია 41 პოლიტორგანიზატორი, რომლებიც ყოველდღიურ საუბრებს მართავენ ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილებში. კლუბის სამუშაო გეგმის მიხედვით ეწყობა ლექციები და მოხსენებები საბჭოთა კონსტიტუციაზე, საარჩევნო სისტემაზე, პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებებზე.

ამ დღეებში ამომრჩევლებმა მოისმინეს დოცენტ მ. ბინიაშვილის ლექცია თემაზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში". საავტომობილო ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების პარტიბიუროს მდივანმა აკ. ბოხოკამ და ინჟინერმა გ. შენგელიამ ამომრჩევლებს წაუკითხეს ლექციები — „ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი" და „საავტომობილო ქარხნის ზრდა-განვითარების პერსპექტივები".

პოლიტორგანიზატორთა ინიციატივით მოეწყო ამომრჩეველ დიასახლისთა და პენსიონერთა ეკსკურსია ალ. წულუკიძის სახლ-მუზეუმში, უბნის ამომრჩეველები ორჯერ კოლექტიურად დაესწრნენ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებს, აგრეთვე კინოფილმებს. ამომრჩეველთა კლუბთან არსებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა ახალგაზრდა ნუშების საერთო საცხოვრებლების ნოთელ კუთხეებში.

№ 2 კლუბი ამომრჩეველთა საუვარელი ადგილი გახდა.

ამომრჩეველთა საყვარელი ადგილი

ვიზიტი დამთავრდა

სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის **ზუჰეირ ალ-ხანის** საქართველოში ვიზიტის უკანასკნელი დღე მიეძღვნა ძველი და თვითმყოფადი ქართული ხელოვნების გაცნობას. სირიელმა სტუმარმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სეიფი, ისინი იყვნენ აგრეთვე საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში. მხატვარმა სტუმარს ერთ-ერთი თავისი ნამუშევარი აჩუქა.

19 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ი. ჩოგოვაძემ** ბატონ ზუჰეირ ალ-ხანის გუშაობა სადილი რესტორან „თბილისში". გ. ი ჩოგოვაძემ და ზუჰეირ ალ-ხანმ წარმოთქვეს სადღეგრძელობები. სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მადლობა გადიხადა სტუმართმოყვარეობისათვის და გამოთქვა იმედი, რომ მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს.

იმავე დღეს სირიის არაბთა რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები მოსკოვს გაფრინდნენ. (საქდესი).

სავანე ემზადება

საჩხერე. (საკ. კორ.). საგანე ლამაზი და დოვლათიანი სოფელია საჩხერის რაიონში. იგი ძველთაგანვე ცნობილი. აქ ხომ ქართველი ერის სასიქადულო პოეტი აკაკი იზრდებოდა. გაიხსენეთ, რა სიყვარულით წერდა მგოსანი სავანეზე.

განთქმულია ამ სოფლის საკოლმეურნეო ზვრები, ბაღები, სახნავ-სათესი მიწები, მეცხოველეობის ფერმები...

კოლმეურნეები ორსართულიან ოდა-სახლებში ცხოვრობენ. ახალგაზრდები გაკვირვებით ნახულობენ ერთადერთ ისლით გადახურულ სახლს. ეს არის აკაკის ძიძისეული რესტავრირებული შენობა, რომელიც მუზეუმს ეკუთვნის...

სავანეში არის სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. სოფლის სიამაყეა მეფრინველეობის მძლავრი ახალი ფაბრიკა, რომელიც პროდუქციას აწვდის ჭიათურელ მაღაროელებს, რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებს.

სავანელი მშრომელები წარმატებით ეშზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ლამაზად გაფორმებულ კუნძის ბიბლიოთეკაში მოთავსებულია აგიტპუნქტი. აქ არის საარჩევნო ლიტერატურა, ლოზუნგ-პლაკატები, ხუთწლიანი გეგმის ამსახველი დიაგრამები, სოფლის მოწინავეთა ფოტოსტენდი...

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ს. გაფრინდაშვილი აგიტატორებს ურჩევს აქტუალურ თემებს, ასელოვნებს მათ, რათა ამომრჩევლებამდე მიიტანონ პარტიისა და მთავრობის მართალი სიტყვა. პარტიულმა ორგანიზაციამ დამატებით შეარჩია აგიტატორები. ახლა სოფლის მშრომელებთან შინაარსიან საუბრებს აწყობს ოცი გამოცდილი აგიტატორი, იმართება ლექცია-მოხსენებები.

აგიტპუნქტში დიდი გამოცოცხლებაა. აქ მოდიან ახალგაზრდა თუ ხანში შესული ამომრჩევლები, აგიტატორები ნ. მეცხოვრიშვილი, ს. ქვათაძე, ი. დემეტრაშვილი, ნ. კომლაძე მშრომელებს ესაუბრებიან საინტერესო საკითხებზე. აქვე ამზადებენ კითხვა-პასუხის საღამოს.

ავიატორთა ახალი მიჯნები

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოთა მოწინავე მუშაკების თათბირი, რომელიც თბილისში გაიმართა.

თათბირი გახსნა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა **ვ. ნინეიშვილმა.** მანვე გააქტია მოხსენება გასული წლის მუშაობის შედეგების, სოციალისტურ გალდებულებათა შესრულებისა და 1969 წლის ამოცანების შესახებ.

თათბირზე გამოვიდნენ სოხუმის აეროპორტის უფროსი **გ. კვარაცხელია,** ქუთაისის საავიაციო-ტექნიკური ბაზის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ნ. ხმელიოვი,** თბილისის აეროპორტის გადაზიდვის განყოფილების უფროსი **ლ. მკრტიჩიანი,** ბათუმის აეროპორტის უფროსი **კ. კვირკველია,** მსუბუქმოტორიანი ავიაციის ქვედანყოფილების მეთაური **შ. დედანაშვილი,** საპროექტო-საძიებო ჯგუფის უფროსი ინჟინერი **ს. ხანინი,** მი-1-ის პილოტი **ი. ტალიანი,** საპაერო მმოსელის ცენტრალური საგენტოს უფროსი **მ. ცაგარელი,** ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ბურდული,** სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი **გ. სტოლიაროვი** და სხვები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ი. ფრუიძე.** (საქდესი).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალური კავშირგაბმულობის რესპუბლიკური განყოფილების კოლექტივმა გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1968 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით. ძს: მიენიჭა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

შეჯამდა რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა 1968 წლის მეოთხე კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კოლუხალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამოკვეთულად ცნეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსა და გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალ-კანალიზაციის მეურნეობის სამმართველოს კოლექტივები და მიანიჭეს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილწყალსადენის" სამმართველოსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო ტრესტის რუსთავის სამმართველოს კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკური კანტორის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სასტუმროების მეურნეობის სამმართველოს სასტუმრო „აფხაზეთის" კოლექტივებმა.

თბილისის მეორადი გადამუშავების № 2 ფაბრიკისა და ქუთაისის საქალაქო სამრეწველო კომბინატის კოლექტივები ცნეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მოიპოვეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დრმები, მათგე მიეკუთვნათ პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკისა და წყალტუბოს რაიონული სამრეწველო კომბინატის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშათა და პირველი ფულადი პრემიათ დაჯილდოებული რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული — ახალციხის რაიონული კავშირგაბმულობის განყოფილების კოლექტივი.

მეორე ფულადი პრემია მოიპოვა ბოგდანოვკის კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების კოლექტივმა. მესამე ფულადი პრემია — ცაგერის კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების კოლექტივმა. (საქდესი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

დეკუტატის ინიციატივით

შრომის ნაყოფიერება, ხარისხი

ზეროკსიდი უმაღლესი ხარისხის მარგანეცი. იგი 80-90 პროცენტს ლითონს შეიცავს. ეს ძვირფასი მადანი ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს წიალში მოიპოვება. პეროქსიდის მადნის გასუფთავება-გაუხვება ამავე მაღაროს პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში ხდება. აქ წყდება პროდუქციის ხარისხის ბედი.

ფაბრიკა" ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის შეიარაღებული. აქ თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია. ავტომატურ მართვაზე პირველად ეს ფაბრიკა გადავიდა არა მარტო ჭიათურაში, არამედ საბჭოთა კავშირის სამთომადნო მრეწველობაშიც.

ერთი წლის წინათ მაღაროში პარტიულმა კრებამ გაითვალისწინა კომუნისტთა წინადადებანი და დასახა საქმიანი, კონკრეტული ღონისძიებანი.

ფაბრიკის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები მეორე დღიდანვე შეუდგნენ დადგენილების განხორციელებას. საქმეში ჩაერივნ მაღაროს ხელმძღვანელებიც. მადნის სანგრევებში მეტი ყურადღება დაეთმო ნედლეულის პირველადს გამდიდრებას, ფუჭი ქანის გადარჩენას. ფაბრიკაში დაინერგა კომუნისტ ბ. აბაშიძის წინადადება — მოძველებული ტიპის ცხრილები შეიცვალა ახალი კონსტრუქციის სამი ვიბრაციული ცხრილით. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა მადნის ხარისხი, იზოგება ფეროდა ლითონი.

კომუნისტების გ. გაფრინდაშვილისა და ა. კვიტაშვილის თაოსნობით განხორციელდა მადნის მომრეცხი ცხრილების კლასიფიკაცია, შეიცვალა მათი დიამეტრები, რითაც გაიზარდა 80-პროცენტიანი პეროქსიდების გამოსავლიანობა.

ბევრი კარგი თაოსნობა გამოიჩინა მადნის ხარისხის სახალხო კონტროლის კომისიამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი მექანიკოსი ა. კვიტაშვილი უძღვება. ამ კომისიის წევრები გ. გაფრინდაშვილი, ქ. ცაბოლოვა, შ. ჩიტიძე, ი. კაპანაძე მუდამ ახლის ძიებაში არიან, ფაბრიკის კოლექტივს საფაბრიკო მარკის ღირსების დასაცავად რაზმავენ.

ამ ღონისძიებებით არა მარტო მადნის ხარისხი გაუმჯობესდა, არამედ გაიზარდა ფაბრიკის წარმადობაც. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, ეკონომიური მაჩვენებლები.

ფაბრიკის კომუნისტები, პარტიული ბიურო ყოველთვის საქმის კურსში არიან, საკოორდინაციო ბურ მსჯელობენ შრომის ნაყოფიერების, მომპირნეობის, წარმოების კულტურისა და საწარმოო ესთეტიკის საკითხებზე, პრაქტიკულად ახორციელებენ დასახულ ღონისძიებებს. წარმოების მაღალი კულტურა და საწარმოო ესთეტიკა კეთილად მოქმედებს მუშების განწყობაზე. შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ამავე შინნებს ემსახურება საგიტაციო-აღმზრდელობითი მუშაობა. აგიტატორები ნ. ხარაიშვილი, ქ. ცაბოლოვა, ბ. აბაშიძე თავიანთ საუბრებში არა მარტო ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ამბებს მიმოიხილავენ, არამედ ადამიანებსაც რაზმავენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მომპირნეობის, ხარისხის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას, კიცხავენ უდისციპლინოებს.

მუშა უ. ჩალაძე შრომის დისციპლინას არღვევდა. აგიტატორმა ნ. ხარაიშვილმა უდისციპლინო მუშას საქციელი სხარაოდ, ცვლის კოლექტივის წინაშე ამხილა. ასევე მოექცა სამტვრეველას მეშინანქანეს ი. სოფრომაძეს, რომელმაც დღე გააცდინა. მისი მოხსნის საკითხიც კი დადგა, მაგრამ ირეკ ცვლის კოლექტივმა იშუამდგომლა, დაგვიტოვეთ, ჩვენ გამოვასწორებთო.

აღმზრდელობითმა ღონისძიებებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. ახლა უ. ჩალაძე და ი. სოფრომაძე მოწინავე მუშები არიან.

შრომის ნაყოფიერებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ემსახურება თვალსაჩინო აგიტაციო-ლექციური პროპაგანდა. აქ ნახავთ დამრაზმავ ლოზუნგ-პლაკატებს, ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებებს, რომლებიც აქ უკისრიათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების რეზერვებს, ტექნიკური პროგრესის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა მაღაროს ეკონომისტის ლ. ბარათაშვილისა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ქოიავას ლექციები, რაც ფაბრიკის მშრომელებმა გულისყურითა და ინტერესით მოისმინეს.

შრომის ავანგარდში კომუნისტები არიან. შ. ჩიტიძე, ს. კილაძე, ი. კაპანაძე, გ. მირიდაძე, ვ. გაჩეჩილაძე, ე. გურული კომუნისტური შრომის დამკვრელები არიან.

პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივის, მისი კომუნისტების შეუპოვარი შრომის მადლია, ფაბრიკის კოლექტივი ხუთ წელს რომ ატარებს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს და იბრძვის ლენინური კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად.

ფაბრიკის სახელოვანმა კოლექტივმა დიდი გადაჭრებებით შეასრულა ხუთწლეულის განვლილი სამი წლის დავალება. მარტო შარშან შრომის ნაყოფიერება გაადიდა 17,5 პროცენტით, მადნის ხარისხის გაუმჯობესებით დაზოგა 125.000 მანეთი, ხოლო ნედლეულიდან გამოსავლის გაზრდით — 218.000 მანეთი. მეექვსე წელია აქ არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ. პეროქსიდის ძვირფას მადანს ყველგან ხალისითა და სიამოვნებით ხვდებიან.

ესეც უნდა ითქვას: ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ხუთჯერ ზედიზედ რომ მოიპოვა საკავშირო პირველობა, შეინარჩუნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ამაში დიდია პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივის, მისი კომუნისტების წვლილი.

აქ კარგად დაიწყეს ახალი ხუთწლეული. გაჩაღებულია შეჯიბრება, რომ ფაბრიკის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შეასრულოს. ამ შეჯიბრების სული და გული კომუნისტები არიან.

პ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

,,ციტრუსოვანთა ნაყოფის დამტაცებლები"



უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც ზუგდიდის ბამბის საქსოვი ფაბრიკა აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკად გადაიქცა და გადაყვანილ იქნა ერთი სახეობის პროდუქციის გამოშვებაზე. სრულდა სპეციალიზაციამ ფაბ რიკის ახლებურად აღმშენება.

ფაბრიკაში მრეკლდება მოჯუკობილობათა მონტაჟი. აქ სულ დამონტაჟდება 165 ახალი საფეიერო დაზგა. სურათზე: (მარჯვნივ) ზუგ დიდის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის უფროსი ანზორ ლომაია მძსოველებს გულნარა სიჭინავასა და ნათელა ქარჩავას ახალ საფეიერო დაზგებს აცნობს.

ფოტო თ. ფუტკარაძისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

„ციტრუსოვანთა ნაყოფის დამტაცებლები"

წერილში, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მჩილებული იყვნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებლები, „ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამყიდველები, სპეკულანტები. ამაზე აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო რედაქციას ატყობინებს:

„გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტების შემოწმებით გამოირკვა რომ ს. ჩაკრიანს და **მ. ჩაკრიანს**, რომლებიც 1968 წლის 8 ნოემბერს დაკავებულ იქნენ საკუთარი ავტომანქანებით მანდარინის გადაზიდვისას, საბელმწიფო ავტოინსპექციის კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოერთვათ მძღოლის უფლებები სამ-სამი თვის ვადით.

ლუსელიძის მიმღები პუნქტის დარაჯის **ს. ატაპიანის** მიმართ, რომლის დაუდევრობის გამო ქვებმა **ჩაკრიანებმა** მოახერხეს მისაღები პუნქტიდან გატაცებათ მანდარინით დატვირთული ავტომანქანები, ზომების მისაღებად მასალები გადაეგზავნა აფხაზხილმოსტნის მმართველს.

ავტომანქანების № 24-31 არდ და 51-33 არდ მძღოლებზე **ვ. გულნარიანსა** და **მ. ნიკოლაძეზე** მასალები გადაეგზავნა სრმხეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილებას, გამოსაძიებლად და სსსრ-ის სამართლის პასუხისგებაში მათი მიცემის საკითხის გადაწყვეტად.

მასალები **მ. გაბედავაზე** გადაეგზავნა მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონ-ულ შენლოვან საქმეთა. რაიონის მმართველობა სასურველად თვლის ითქვას, რომ აქ დამკვიდრდა კარგი ტრადიცია შენობებს უსასყიდლოდ ... სკოლებს, ...

საერთაშორისო ცხოვრება

მხარს უჭერენ რევანშისტულ პრეტენზიებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებული საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის კრიტესტი

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე მტკიცე პროტესტი განაცხადა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების მეორე ათწლეულის მოწყობის მოსამზადებელი კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, და სხვა სოციალისტური ქვეყნები გადაჭრით გამოდიოდნენ და გამოდიან დასავლეთის სახელმწიფოთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შეიყვანონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მოსამზადებელ კომიტეტში, რომელიც გენერალური ასამბლეის 23-ე სესიის რეზოლუციის თანახმად წარმოადგენს ეკონომიური და სოციალური საბჭოს განყოფილებას.

